პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!



1923
აგვისტო
29
ოთხშაბათი
მზე ამ. 4 ს. 15 წ.
მზე ჩას. 7 ს. 10 წ.
შესან. მოვლენათა დღიური
1914 წ. ავსტრიამ ომი გამოუცხადა ბელგიას.

წელიწადი მესამე.

რედაქციის მისამართი
ტფილისი სასახლის ქ. № 5
(ცენტ. წითელ-არმიელთა კლუბი)
რედაქცია ღიაა ყოველდღე გარდა კვირა უქმე დღეებისა 9—2 საათ.

ხელის მოწერის თვიური ფასი 1 მილ. მან.
დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები უნდა იყოს დაწერილი ცალ გვერდზე, სუფთად და მელნით ავტორის ხელის მოწერით. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.

№ 352 ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტ-განყოფილების ყოველ დღიური გაზეთი. ფასი 50.000 მანეთი. № 352

ყოფილ მენშევიკების ყრილობის მუშაობის გამო.

ყოფილ მენშევიკების ყრილობის სხდომები კიდევ ერთხელ ნათლად ამტკიცებენ მენშევიკური პარტიის სრულ დასამარებას და სიკვდილს. ყრილობის დელეგატების გულიდან ამონახეთქი სიტყვები, რომელიც აღსავსეა ზიზღით და კრულვით ძველი ტაქტიკის მიმართ, ამტკიცებენ მას, რომ მენშევიკური პარტიის საუკეთესო ნაწილი, პარტიის დიდი უმრავლესობა—ერთხელ და სამუდამოთ ჩამოშორდა ძველ გზას, უარჰყო, დაჰგმო ის და ურყევად დაადგა ახალს—პროლეტარიატის დიქტატურას.

მენშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტი დორბლს ჰყრის პირიდან და არ იცის, რა საშუალებით შეაჩეროს პარტიის გახრწნა და სიკვდილის პროცესი.

აქაც, ყრილობაზე მან მოინდომა ერთგვარი დემონსტრაციის მოხდენა, ყრილობის მნიშვნელობის ჩაჩრდილვა და გამოფხიზლებული მუშების კვლავ თვალების ახვევა, მათი—თავის რიგებში გადმობარგვის მიზნით.

თავისი დემონსტრაცია ამ უპასუხისმგებლო ავანტიურისტებმა მოახდინეს მედუქნე მურმანიშვილის პიროვნებით, რომელიც გამოვიდა ყრილობაზე და განაცხადა, რომ ის ჩეკისტების ძალდატანებით მოვიდა ყრილობაზე, რომ ყრილობას არა აქვს ნება პარტიის გაუქმებაზე და სხვა...

ბატონ მურმანოვს და მის დამქაშებს ეგონათ, რომ ამ სიტყვის შემდეგ ყრილობა მართლაც დაუჯერებდა ამ პროვოკაციას და მხარს დაუჭერდა მათ.

მაგრამ, როგორც ყოველთვის და მუდამ, ამ შემთხვევაშიც, სასტიკად მოსტყუვდნენ ავანტიურისტი—„ცეკისტები“ და მათი ერთად ერთი „ბრძენი ვექილი“, „პატიოსანი სოციალისტი“ მედუქნე მურმანოვი.

მურმანოვის სიტყვებმა სასტიკი პროტესტი და გაკიცხვა გამოიწვია ყრილობის დელეგატებისაგან. არც ერთმა მათგანმა არ აჰყვა მურმანოვის პროვოკაციას. მხოლოდ ის იყო ერთად ერთი მეტად სუსტი და საბრალო დამცველი გაკოტრებულ მენშევიკების ცეკასი.

„ვინც იძახის, რომ ძალად მომიყვანესო ზიზღი მას“ ამბობს დელეგატი შენგელია.

„ის რევოლიუციონერი, რომელსაც შეაშინებს ჩეკა, ან ციხე, ის მე ამხანაგათ არ მიმაჩნია და იმას მე ვეტყვი: შორს ჩვენგან! ასეთები ჩვენ არ გვინდა“ ამბობს მეორე დელეგატი ნუცუბიძე და განაგრძობს, **„თუ დღეს ციხიდან გამოვდივართ და მოვიდრიკენით კომუნისტების წინაშე—ეს იმას არ ნიშნავს რომ ჩეკამ შეგვაშინა. ჩვენ ჩაუფიქრდით საქმეს და დავინახეთ, რომ კომუნისტები იბრძვიან იმ სოციალიზმისათვის, რომლისთვისაც ჩვენ ვიბრძოდით“.**

ასეთივე პასუხი გასცეს სხვა ორატორებმაც მურმანოვის აბლაუბდას. აგრეთვე ჯეროვნად უპასუხა მურმანოვს ამხ. ფარნიევმა ყრილობის სრულუფლებიანობის შესახებ. მან სტატისტიკური ცნობებით დაუმტკიცა, რომ ყრილობა წარმოადგენს მენშევიკური პარტიის 12 ათას წევრებს, რომლებიც შევიდნენ პარტიაში 1917 წლამდე. და რომლებიც შეადგენდენ ამ პარტიის ფუძეს.

მენშევიკურ „ცეკას“ დარჩა მის განკარგულებაში ესეთივე მედუქნეთა მეჩანური მასა, როგორიც არის მოქ. მურმანიშვილი. რაც უნდა იწუწუნონ ბატონ „ცეკისტებმა“, მათი ცდები უნაყოფოთ ჩაიარს და მენშევიკური პარტიის ყოფილი წევრები, რომელნიც იყვნენ ამ პარტიის ნამდვილი საფუძველი და შინაარსი, გააუქმებენ მას და კიდევ შეუერთდებიან რევოლიუციონურ პროლეტარიატის ოჯახს.

რეაქციის გაძლიერება საბერძნეთში.

ლოზანას საზავო ხელშეკრულების შემდეგ საბერძნეთმა ცოტათი თავისუფლად ამოისუნთქა; მიუხედავათ იმისა, რომ აღნიშნულ ხელშეკრულებას იქ არა სასურველად სცნობენ საბერძნეთისათვის, მაინც კმაყოფილნი არიან, რადგანაც მშვიდობიანობა ჩამოვარდა.

ზავის დადების შემდეგ დიდი ყურადღება მიექცა საბერძნეთის შინაურ ამბებს და დღეს პოლიტიკურ პარტიათა ბრძოლა საბერძნეთში თან და თან მწვავე ხასიათს ღებულობს არჩევნების მოახლოების გამო.

დღეს საბერძნეთში მთავარ ძალებს წარმოადგენენ პარტიები: მთავრობის, ლიბერალური პარტია (ვენიზელისტები) ოპოზიციური კონსერვატიული პარტია და კომუნისტური პარტია.

ამგვარად ეს სამი პარტია დაეტაკებიან ურთი-ერთს არჩევნების დროს.

მაგრამ კომპარტია მომავალ არჩევნებში ვერ ითამაშებს დიდ მნიშვნელოვან როლს; ასე, რომ უმთავრესი ბრძოლა იწარმოებს ლიბერალურ და კონსერვატიულ პარტიებს შორის.

როგორია ძალთა განწყობილება საბერძნეთში და რომელს ამ აღნიშნულ ორ პარტიათაგანს არგუნებს მომავალი არჩევნები გამარჯვებას და სახელმწიფოს მართვა-გამგეობას?

„ჟურნალ დეორიანი“-ს ცნობით, საბერძნეთში აშკარათ ემჩნევა ლიბერალურ პარტიას—ე. ი. „ვენიზელისტებს“ გაკოტრება, როგორც ვიცით, კომპარტიას სათავეში უდგას საბერძნეთში ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე ვენიზელოსი.

ერთ-ერთ გაზეთის ცნობით—საბერძნეთის მცხოვრებთა აბსოლიუტურ უმრავლესობას შეადგენენ ვენიზელოსის მოწინააღმდეგენი; მთავრობის პარტიამ მრავალი შეცდომები დაუშვა, მან მიიყვანა საბერძნეთი მეტად მძიმე მდგომარეობამდი, რომელიც ემუქრება საბერძნეთს დაღუპვით.

ქვეყნის მძიმე ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობა კიდევ უფრო ართულებს მდგომარეობას და ასეთ პირობებში კონსერვატიულ პარტიას დიდი შანსები აქვს გამარჯვების. ხალხის უმრავლესობა უკმაყოფილოა ლიბერალურ პარტიით და სულ ადვილი შესაძლებელია რომ სახელმწიფოს, მომავალ არჩევნების შემდეგ, მოექცეს სათავეში რეაქციონურ კონსერვატიული პარტია.

საბერძნეთის მუშათა კლასის მდგომარეობა რა თქმა უნდა სრულებით არ გაუმჯობესდება რომელიმე ამ პარტიების გამარჯვებით თუ დამარცხებით; საბერძნეთის მშრომელთა ინტერესები მათ არაფრად აინტერესებთ; როგორც ლიბერალური ისე კონსერვატიული პარტია იცავს თავის—კლასის ბურჟუაზიის და აგრარიების ინტერესებს. საბერძნეთის მშრომელ მასსების ხსნა მხოლოდ პროლეტარულ რევოლიუციაშია, რომლისკენაც მოუწოდებს მათ და მიიყვანს კიდეც კომუნისტური პარტია.

ს.

[illegible]

ამიერ-კავკასიის რესპ. ფულის ნიშნების დაცემის შესახებ.

უკანასკნელ დღეებში, ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნები ეცემა. სხვა და სხვა საქონელზე ფასები ძალიან გაიზარდა.

ასეთმა გარემოებამ გამოიწვია ერგვარი შიში და პანიკა მუშა-მოსამსახურეთა შორის.

მართლაც, მეტად ცუდი პირობები შეიქმნა ბაზარზე. ფასები საქონელზე—ა. კ. ფულის ნიშნებით—საათობით იზრდება. ფულის ნიშნების დაცემას სხვა და სხვა მიზეზები აქვს. მაგრამ, ხომ საჭიროა ყურადღება მიექცეს ჩვენი ხელისუფლების მიერ ამ გარემოებას და რაც შეიძლება მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრებაზე არ იქონიოს ცუდი გავლენა ფულის ნიშნების ასეთმა დაცემამ.

გაზ. „ზარია ვოსტოკა“ ეხება ამ გარემოებას და სწერს:

„შეუძლიან მთავრობას ჩეიტრალურად მოიქცეს ასეთ პირობებში? რა თქმა უნდა არა. თავის თავად ცხადია, რომ ქაღალდის ფულის ნიშნების გამოცემის ზრდის წინააღმდეგ ზომებს ღებულობენ.

გასაგებია, რომ ჩერვონეცის ტრიალი ისე უნდა მოეწყოს, რომ ქაღალდის ფულის ნიშნებზე არ მოახდინოს ცუდი გავლენა. აგრეთვე ადმინისტრატიული ზომების მიღების გარდა (შავი ბირჟის დახურვა, დაპატიმრება, მცხოვრებლებისადმი მიმართვა და სხ.), ჩვენ უნდა განვუმარტოთ მუშებს, გლეხებს და ყველა მოქალაქეებს, რომ ფულის კურსის დაცემა არ იმოქმედებს ცუდათ მათ მდგომარეობაზე, თუ ზოგიერთ პირობებს შევასრულებთ“.

ასეთ საშუალებათ გაზეთს მიაჩნია საქონლის მანეთის კურსის ხშირად გამოქვეყნება თვის განმავლობაში მუშებისათვის კრედიტის მიცემა და სხ.

რა თქმა უნდა, ეს ზომები კარგია და ცხოვრებაში გატარებული უნდა იქმნას.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ხელისუფლება ყველაფერს იზამს, რათა მუშა-მოსამსახურეებმა შეინარჩუნონ შრომის ხელფასის რეალური ღირებულება.

დეპეშები

— 5 ნოემბერს ლოზანაში დაიწყება ამხ. ვოროვსკის გასამართლება.

— ევროპის ბანკირები სრული ნდობით ეკიდებიან ჩერვონცებს.

— ლიტვაში გააძლიერეს კომუნისტების დევნა.

— სტამბოლიდან ინგლისის ჯარების ევაკუაცია გრძელდება, საფრანგეთის ჯარების ევაკუაცია დაიწყება სექტემბრიდან.

— 27 აგვისტოდან დაიწყო ირლანდიის პარლამენტის არჩევნები.

— გერმანიის მთავრობამ გამოსცა საგანგებო დადგენილება ვალიუტის შესახებ, რომლის ძალითაც ფიქრობენ რომ შეგროვდება 500 მილ. მარკა ოქროთი.

გერმანიის ამბები.

გერმ. ამბები.

ვალიუტის ჩაუბარებლობისთვის ციხე.

მთავრობამ დაადგინა, ვინც არ დაემორჩილება ბრძანებას—საზღვარ გარეთის ვალიუტის 15 სექტემბრამდე რეიხსბანკისათვის ჩაბარების შესახებ, დასჯილ იქნეს ციხეში ჩასმით 10 წლამდე და აგრეთვე იქნეს დაჯარიმებული.

სახელმწიფო ვალი ორჯერ გაიზარდა.

10 აგვისტოდან—20-დე გერმანიის სახელმწიფო ვალი გაიზარდა 117.000-დან 363.000 მილიარდ მარკამდე.

მუშები თავიანთ წარმომადგენელს იცავენ.

რეიხსბანკის გამგეობამ დაითხოვა ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების წარმომადგენელი გროსმანი.

მუშები მოითხოვენ გროსმანის სამის დღის განმავლობაში უკან მიღებას რეიხსბანკში, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი იმუქრებიან გაფიცვით.

საგანგებო დადგენილება ვალიუტის შესახებ.

გამოქვეყნებულია საგანგებო დადგენილება საზღვარ-გარეთის ვალიუტის რეიხს ბანკისათვის ჩაბარების შესახებ, უკანასკნელის ფონდის შესაქმნელად.

დადგენილება ეთანხმება წინასწარ ცნობებს იმ განსხვავებით, რომ აქციონერულ საზოგადოებებისათვის ნორმა არის ორჯერ მეტი.

იძულებითი სესხის ხასიათი მნიშვნელოვანად შემსუბუქებულია, ამას გარდა ვინც ვალიუტას აბარებს უფლება აქვს მიიღოს ოქროს სესხი და წეული კურსით.

იმ მიზნით, რომ მიღებულ იქნას რაც შეიძლება მეტი თანხა, გამოცხადებულია ამნისტია წინანდელი მთავრობის განკარგულებათა აუსრულებლობისათვის დასჯილების მიმართ.

ფიქრობენ, რომ საგანგებო დადგენილების მეოხებით შეგროვდება 500 მილ. მარკა ოქროთი.

მთავრობას იმედი აქვს, რომ თავის მიერ მიღებულ ზომების მეოხე-

საბჭოთა რუსეთის ცნობის მომხრე საფრანგეთის სენატის წევრი დე-მონზი.



დე-მონზი საფრანგეთის სენატის წევრია და ლოს დეპარტამენტის თავმჯდომარე. მან ბევრი იზრუნა საფრანგეთსა და რუსეთის დაახლოვებისათვის. აპრილში თავის დეპარტამენტში მან გაატარა დადგენილება, რომელიც მოითხოვს საფრანგეთის მთავრობისაგან რუსეთში სავაჭრო წარმომადგენლების გაგზავნას. ივლისში სენატში მან წინადადება შეიტანა მოსკოვის გამოფენაზე მონაწილეობის მიღების შესახებ.

ეხლა ის თვითონ ესტუმრა მოსკოვს. მისი რუსეთში ჩამოსვლა არის საფრანგეთის საზოგადოების ყველა ჯგუფების რუსეთისადმი დიდი ინტერესის შედეგი. ამ ჟამად, როგორც თვით დე-მონზი აღნიშნავს, საფრანგეთის ყველა წრეები ამა თუ იმ მოსაზრებით ცდილობენ, დაამყარონ რუსეთთან ურთიერთობა. მსხვილ კაპიტალისტებს იმედი აქვთ რაიმე დაიბრუნონ, რესპუბლიკანელები იცავენ თავის შეხედულებას სხვა ხალხის შინაურ საქმეებში ჩაურევლობის შესახებ. სოც. თანაუგრძნობენ რუს. რევოლიუციას და ასე ყველა. დე მონზი რუსეთის ცნობის მომხრეა.

ეხლა ის რუსეთს ესტუმრა იმისათვის, რომ უკეთ გაეცნოს ადგილობრივად სახელმწიფო მუშაობას და შემდეგ ის ისევ მიდის საფრანგეთში. დე მონზი დარწმუნებულია, რომ მოკლე ხანში რუსეთსა და საფრანგეთს შორის განახლებული იქნება დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობა.

ბით ის მოახერხებს მოაწესრიგოს დოლარის კურსი რუის სრაკითხის ლიკვიდაციამდე.

საკავშირო გამოფენა.

დიპლომატიურ, მუშათა გლეხთა, პარტიულ და რუსეთისა და უცხოეთის გაზეთების წარმომადგენლების თანდასწრებით—დიდის ზეიმით გაიხსნა საკავშირო გამოფენის საგარეო საქმეთა განყოფილება.

სიტყვა წარმოსთქვა ამხ. სვიდერსკიმ რომელმაც განაცხადა: გამოფენის რუსულ ნაწილს მიზნათ აქვს ქალაქისა და სოფლის დაახლოვება; საგარეო ნაწილს კი, რესპუბლიკების მშრომელი ხალხის დაახლოება მთელ ქვეყანასთან სამეურნეო გაცვლა-გამოცვლის საქმესთან.

ამის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ამხ. კრასინმა. მან განაცხადა: საგარეო განყოფილებაში გლეხი უნდა გაეცნოს სასოფლო მეურნეობაში დასავლეთ ევროპის მეთოდებსა და ტეხნიკას. ჩვენი სასოფლო მეურნეობა უნდა დადგეს სამეცნიერო გზაზე. კრასინის აზრით გამოფენა წარმოადგენს შემაერთებელ რგოლს ევროპის სახელმწიფოებსა და რუსეთს შორის.

სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე ოსმალეთის წარმომადგენელმა მუხთარ ბეიმ და საპასუხო—ჩიჩერინმა, რომელმაც განაცხადა: ჩვენ იმედი გვაქვს, რომ გამოფენის საგარეო განყოფილება ხელს შეუწყობს მთელი ქვეყნის სხვა და სხვა ხალხის რუსეთთან დაახლოვებას.

რუსეთი მსოფლიო ბაზარზე ამერიკას ეჯიბრება.

ჩიკაგოდან იუწყებიან: ცნობამ, რუსეთში ხორბლეულობის კარგი მოსავლის შესახებ, შეერთებულ შტატებში პურის ფასი საკმაოდ დაიწია.

ჰილფერდინგის ფინანსიური პროგრამა.

პარლამენტის მთავარი კომისიის სხდომაზე ფინანსთა მინისტრმა ჰილფერდინგმა გამოსთქვა თავისი აზრი გერმანიის ფინანსების გაჯანსაღების შესახებ. მას გერმანიის მსხვილ მრეწველების დახმარების იმედი აქვს მისმა მოხსენებამ ცხარე კამათი გამოიწვია.

ჩეხო-სლოვაკია.

მეორე კვირაა, რაც გაფიცვა გრძელდება. მდგომარეობა გამწვავებულია.

მწარმოებლებს სურთ, რომ გაფიცულებს სასტიკი ზომებით გაუმკლავდნენ. თუ მუშათა მოთხოვნილება არ დააკმაყოფილეს—მუშები დასტოვებენ მაღაროებს, შეჩერდება ელექტრონის სადგურები და ჩაქრება ღუმელები.

როგორ ექცევიან პოლონეთში მთავრობის მოწინააღმდეგეთ

ლვოვის მიტროპოლიტი შეპიცკი პოლონეთში ჩასვლისთანავე, საზღვარზე დააპატიმრეს. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით მიტროპოლიტის ვაგონი ლვოვის ნაცვლად პოზნანში გაამგზავრეს.

სხვა და სხვა ამბები.

უნგრეთი

ბრძოლა შრომის ხელფასის მომატებისათვის.

მძიმე ეკონომიური მდგომარეობის გამო უნგრეთში ძლიერდება ბრძოლა შრომის ხელფასის მომატებისათვის, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობენ ყველა დარგის მუშები, მოხელეები, ბანკისა და სავაჭრო დაწესებულებების მოსამსახურეები. ბევრ სამრეწველოებში მუშები იმუქრებიან გაფიცვებით. ამ მოძრაობის შიშით მთავრობამ მოუმატა ჯამაგირი მოხელეებს 25 პროცენტით, მაგრამ მოხელეები კმაყოფილნი არ არიან, ვინაიდან ჯამაგირები მაინც ვერ უსწორდებიან ფასების ინდექსს. ბუდაპეშტის კომუნალური მუშები, რომელნიც იძულებულნი იყვნენ, თეთრი ტერორის ზედგავლენით, შესულიყვნენ გლეხურ-სოციალისტურ პროფკავშირებში, გამოვიდნენ რეაქციონურ-გლეხურ ქალაქის საბჭოს წინააღმდეგ, შეუერთდენ რა ამ რიგად სოციალ-დემოკრატების მოთხოვნილებას შრომის ხელფასის საქმის მოწესრიგების შესახებ.

ავსტრია

ფაშისტების სრულ დამარცხება.

ავსტრიის ჯარისკაცთა საბჭოს არჩევნებში ფაშისტებმა განიცადეს სრული დამარცხება, მიუხედავად იმისა რომ მათ მხარს უჭერდენ მთავრობა და ოფიცრები.

იაპონია

დასაფლავება —დემონსტრაცია.

ტოკიოში მოხდა დემონსტრატიული პოლიტიკური დასაფლავება ანარხისტ-სინდიკალისტის ტაკაიესი რომელიც მოჰკლა ფაშისტურ საზოგადოების თავმჯდომარემ „ბალშევიკურ იდეების მოსასპობად“. მიუხედავად დასაფლავების ორგანიზატორთა დევნისა პროცესში მონაწილეობა მიიღო ათასმა მუშამ. ფაშისტურ ორგანიზაციების და პოლიციის წინაიღმდეგ პროტესტის მიზნით დასაფლავებაში მონაწილეობა მიიღეს ისეთმა ორგანიზაციებმაც, რომელნიც იზიარებენ ანარხისტ-სინდიკალისტების შეხედულებებს.

პოლონეთი.

რევოლიუციონურ ახალგაზრდობის წინააღმდეგ.

პოლონეთის „ოხრანკა“ ახდენს „მასსიურ ჩხრეკას და დაპატიმრებას.

ზოგიერთი გაზეთების ცნობით, „ოხრანკამ“ შესძლო აღმოეჩინა პოლონეთის უკიდურესი კომუნისტური ორგანიზაცია.

ამ ცნობებს მიზნად აქვთ გამოიწვიონ ხმაურობა და მით შეუმსუბუქონ „ოხრანკას“ რევოლიუციონურ ახალგაზრდობასთან ანგარიშის გასწორების საქმე.

ოსმალეთი

ლოზანის ხელშეკრულების რატიფიკაცია.

მოისმინა რაისმეტ-ფაშის 4 საბუთიანი სიტყვა ლოზანის ხელშეკრულების შესახებ, რომელიც ანიჭებს ოსმალეთის სრულ საგარეო და საშინაო დამოუკიდებლობას და აუქმებს ყველა კაპიტულიაციებს—მეჯლისმა 210 ხმით, 15-ის წინააღმდეგ, რატიფიკაცია იყო ხელშეკრულებას.

ლიტვა.

კომუნისტების დატუსაღება.

ოფიციალური ცნობებით ლიტვაში დაუტუსაღებიათ კომუნისტური ორგანიზაცია 20 კაცის შემადგენლობით.

ელჩი.

ანგორაში ჩავიდა სპარსეთის ელჩი მეფეხემ-დევლე-ხან, რომელსაც შეხვდნენ ოსმალეთის გარეშე საქმეთა კომისარიატისა და საბჭოთა საელჩოს წარმომადგენლები.

იტალია.

შრომის კონფერენცია.

შრომის კონფერენციის ყრილობაზე რომში, ორი მესამედი ხმით

მიზეზი ახალ ორგანიზაცი-ის შემოღებისა.

ბევრი მითქმა მოთქმა და კამათი გამოიწვია ქვეითა ჯარის ასეულების ახალმა ორგანიზაციამ. ბევრი ჩვენგანი დიდ წარმატებას და სიძლიერეს უქადის წითელ ჯარს ახალ ორგანიზაციის შემოღებით, მაგრამ არის ბევრი იმისთანაც, რომელიც ჰგმობს ახალ ორგანიზაციას, უმნიშვნელოდ მიაჩნია იგი, ზოგნი მავნებლადაც კი სთვლიან მას.

თუმცა უმეტესი ნაწილი უკანასკნელ ჯურის სამხედრო პირებისა უბრალო კონსერვატორობას იჩენს: არ უნდა ძველი, ნაჩვევი გზის დატოვება, მაინც იმისათვის, რომ გამოვარკვიოთ ვინ არის ამათში გართალი, რას გვიქადის ახალი ორგანიზაცია, საჭიროა გამოვიკვლიოთ მიზეზი ახალი ორგანიზაციის შექმნისა და მაშინ ნათლად დავინახავთ ახალი ორგანიზაციის დადებითი და უარყოფითი მხარეებსაც და აქედგან მის აუცილებლობას და უპირატესობასაც.

აქ გაკვრით მინდა მოვიხსენიო მხოლოდ ის, რომ ევროპიულ ჯარებში უკვე განხორციელებულია ეს ორგანიზაცია.

მართლაც, რამ გამოიწვია ახალი ორგანიზაციის შექმნა, იქნებ საჭირო არ იყო მისი შემოღება, ახალი ორგანიზაცია ჰქმნის ახალ მეთოდებს, ახალ ილეთებს, მაშასადამე ძველი ნასწავლი უნდა დავივიწყოთ და დიდი შრომა დავხარჯოთ ახლის შესასწავლათ, ეს იმ დროს როდესაც ყოველივე დღე ჩვენთვის ძვირფასია. მაშინ რამ გვაიძულა ამოდენა დროის დაკარგვა?!

რასაკვირველია, როგორც ყოველივე საზოგადო მოვლენას, ახალ ორგანიზაციასაც მრავალი მიზეზი აქვს, მაგრამ ამათში უმთავრესად უნდა ჩაითვალოს ქვეითა ჯარის იარაღის განვითარება, რაზედაც დღეს მე მინდა ვილაპარაკო.

ყველამ კარგად ვიცით, რომ ქვეითა ჯარი შეიარაღებულია ორგვარ იარაღით: ა) სასროლი იარაღით, რომლითაც მას შეუძლიან შორ მანძილიდგან მტერს ზიანი მიაყენოს და ბ) მკვეთრი იარაღით, რომლითაც იგი მტერს ეკვეთება გულდაგულ. ქვეითა ჯარმა აუცილებლივ ისეთი ორგანიზაცია უნდა მიიღოს, რომ შესძლოს სავსებით გამოიყენოს ყოველივე თვისება თავისი იარაღისა. ეს ასეც ხდებოდა. თუ გადაათვალიერებთ სამხედრო ხელოვნების ისტორიას, თქვენ ნათლად დაინახავთ, რომ იარაღის კონსტრუქციის შეცვლას აუცილებლივ თან დასდევს ჯარის ორგანიზაციის შეცვლა. უწინ, როდესაც ქვეითა ჯარი შეიარაღებული იყო სასროლი და მკვეთრი იარაღით ცალ ცალკე იგი ძალა უნებურად, რომ უკეთესად გამოეყენებინა თავისი იარაღი, იყოფოდა ორ ნაწილად რადგანაც ერთს ჯარის კაცს არ ეხერხებოდა ორივე იარაღის ხმარება, მაგრამ რადგანაც ეს გარემოება ასუსტებდა ქვ. ჯარს ძველადვე ცდილობდნენ გამოეგონათ ისეთი იარაღი, რომელიც ერთსა და იმავე დროს სასროლი და მკვეთრი იარაღიც იქნებოდა, მაგრამ ტეხნიკის განუვითარებლობის გამო ძველად ეს ვერ ხერხდებოდა, მხოლოდ მე 17 საუკუნეში გამოიგონეს ხიშტიანი თოფი, რომელიც ერთსა და იმავე დროს სასროლი და მკვეთრი იარაღიც არის. ჯარის ორგანიზაცია იარაღის მიხედვით ძველად იყოფოდა ორ ნაწილად, მე 17 საუკუნეში ერთგვარი სახე მიიღო, მხოლოდ შემდეგში მკვეთრი და სასროლი იარაღი, რომ დაშორდენ ერთმანეთს, ქვ. ჯარი ისევ ორ ნაწილად გაიყო, როდესაც 3 ხაზიანი შაშხანა თოფი შემოიღეს ისევ გაერთიანდა. ამ რიგად ქვეითა ჯარი ძველად დაყოფილი იყო ორ ნაწილად: საბერძნეთში მძიმე—ჰიპლიტები და მსუბუქი მსროლელთა ნაწილები, რომში მძიმე—გასტატები, პრინციპები და ტრიარები და მსუბუქი ველიტები, საშუალო საუკუნეში, როდესაც თოფის წამალი შემოიღეს მძიმე—პიკინერები და მსუბუქი—მუშკეტერები, ამათში მძიმე ნაწილი ქვეითა ჯარის შეიარაღებული იყო მკვეთრი იარაღით, მსუბუქი კი სასროლი იარაღით. რასაკვირველია ქვეითა ჯარის ორ ნაწილად დაყოფა მეტად ასუსტებდა მას, ამის გამო ძველადვე ცდილობდნენ ქვ. ჯარის ერთნაირად შეიარაღებას. ამის ცდა მოახდინეს საბერძნეთში იფიკრატმა, რომში—მარიუსმა და სხვა, მაგრამ ისევ უხდებოდათ ქვ. ჯარის დაყოფვა ორ ნაწილად რადგანაც ჯარის კაცებს ორგვარი იარაღის ხმარება ემძიმებოდათ ქვ. ჯარის გაერთიანება შესაძლებელი გახდა მხოლოდ მე 17 საუკუნეში, როდესაც ხიშტიანი თოფი შემოიღეს. მაგრამ რადგანაც სასროლი იარაღის განვითარება გაცილებით წინ უსწრობს მკვეთრი იარაღის განვითარებას, ამის გამო დროებით მკვეთრი და სასროლი იარაღი ჩამოჰშორდებიან ხელ მეორეთ მეორეს და მაშინ ქვ. ჯარის იყოფა ორ ნაწილად. ასე მოხდა, მაგალითად, ბერდანის სისტემის თოფის შემოღებისას, ასეთივე რეორგანიზაცია ხდება ჩვენ თვალ წინ.

ყველამ კარგად ვიცით, რომ სასროლი იარაღი ქვ. ჯარისა მეტად განვითარდა, ტყვია მფრქვევი ისვრის ერთს წუთში 500 ვაზნამდე მაგრამ სამწუხაროდ მან სრულიად დაჰკარგა კვეთების ძალა.

უწინ ქვ. ჯარი შეიარაღებული იყო სამხაზიან შაშხანა თოფით და ყოველ ცალკე ჯარის კაცს შეეძლო, როგორც კვეთება ისე სროლა. ეხლა ჯარი იყოფა ორ ნაწილად: ერთი ნაწილი უმთავრესად სარგებლობს სასროლი იარაღით, მეორე კი ხმარობს უმთავრესად მკვეთრ იარაღს, რასაკვირელია ორივე შეადგენენ ერთი და იგივე სხეულის ნაწილებს და ამის გამო ერთი მეორეს შეავსებენ. შეიძლება ზოგიერთებს მოუვიდეთ აზრათ, თუ კი ასე ნაწილდება ქვ. ჯარი, ე. ი. სუსტდება იგი, არა სჯობს რომ უკუვაგდოთ ახალი ორგანიზაცია და მასთან ეს განვითარებული სასროლი იარაღიც?! რასაკვირველია, არა, რადგანაც ეს ახალი სასროლი იარაღი—ტყვიამფრქვევი იმდენად ძლიერია, თავისი ცეცხლით გაცილებით ჰფარავს იმ ნაკლს, რომელიც შეაქვს მას ქვეითა შარში. რასაკვირველია უკეთესი იქნებოდა, ქვ. ჯარი შეიარაღებული ყოფილიყო ისეთი იარაღით, რომელიც ცეცხლს აწარმოებს, როგორც ტყვია-მფრქვევი და მასთანვე მკვეთრი ძალაც ჰქონდა და მე პირადათ დარწმუნებული ვარ, რომ ახლო მომავალში გამოიგონებენ ამისთანა იარაღს, მაგრამ ვიდრე ეს მოხდება ჩვენთვის აუცილებლივ საჭიროა ვისარგებლოთ იმ დადებითი თვისებით, რომელიც ტყიამფრქვევს აქვს, თუმცა გათვალისწინებული უნდა გვქონდეს მის უარყოფითი მხარეც.

ახალი ორგანიზაცია სწორეთ ამ ორი მხარის გათვალისწინების და გამოყენების ცდაა, ჯერ იგი არ დამთავრებულა და ყველა სამხედრო პირი მოვალეა შეისწავლოს, შეიგნოს ყველა თვისებები ახალი იარაღისა და ორგანიზაციისა და არა დაჰგმოს იგი.

ახალი იარაღი, ახალი ორგანიზაცია ახალ შუქს მიაყენებს, თუ მთლიანად არ შესცვლის ბევრს ტაქტიკურ საკითხებს.

აქაც საჭიროა სამხედრო პირმა, მეტადრე მეთაურმა, გამოიჩინოს სათანადო ხალისი და დაკვირვება. მიზეზების გამორკვევის გარდა საჭიროა, როგორც მოგახსენეთ, ახალი ორგანიზაციის თვისებების გამორკვევა-შესწავლაც.

შემდეგში ჩვენ იმედი გვაქვს ამ კითხვებსაც შევეხოთ, ეხლა კი ვთხოვთ სხვა ამხანაგებსაც გამოსთქვან თავიანთი აზრი ამ საკითხზე, რადგანაც ნათქვამია, აზრთა შეხლაში ჭეშმარიტება იბადებაო.

ლევ. გარსიაშვილი.

ული იქნა რეზოლიუცია კონ- რალისტ-სოციალ-დემოკრატე ისა, რომელშიაც ყრილობამ გამოცხადა ნდობა აღმასკომს და მიი- ო კონფერენციის პოლიტიკურ არტიებისა და მთავრობისაგან და- ოუკიდებლობის პრინციპი. დადგე- ილ იქნა განაგრძონ საკუთარი მუ- მური პოლიტიკა, რომელიც დამ- არებულია კრებების, ბეჭვდითი სი- ტყვის და კავშირების თავისუფლე- ბაზე. რეზოლიუციის კენჭის ყრის როს თავი შეიკავეს 11 დელეგა- ციამ შრომის პალატებისა, რომელ- თა შორის უმრავლესობა არის ლი- ვორნიდან და რომიდან და უმცირესი ნაწილი კი—მილანიდან და ბოლონიდან. კენჭის ყრის დროს თავი შეიკავეს აგრეთვე პროფ-კავშირების ორგანიზაციების დელეგაციებმა. კენჭის ყრის დროს თავის შეკავება ნიშნავდა ოპოზიციის რეზოლიუციის მოწონებას, რომელიც არ სცნობს ყრილობას კომპეტენტურად გადასწყვიტოს პრინციპიალური საკითხი და მოითხოვდა კონგრესის მოწვევას, კონფედერაციის საერთაშორისო კლასიური ხასიათის შესანარჩუნებლად.

ფიუმეს საკითხი

მუსოლინმა განუცხადა ფიუმეს საკითხის კომისიას, რომ თუ შეთანხმება არ მოხდა 31 აგვისტომდე იტალია იტოვებს მოქმედების თავისუფლებას. იტალიის დელეგაციის პროექტით ფიუმეს მართვა-გამგეობა გადაეცის პარიტეტული კომისიის ხელში, მაგრამ პოლიტიკური და ადმინისტრატიული მფარველობა იქნება იტალიის ხელში. ნავთსადგური ბარო რჩება სამხრეთ სლავიის სუვერენიტეტის ქვეშ. მუსოლინის ულტიმატუმმა დიდი აღელვება გამოიწვია სამხრეთ-სლავიის წრეებში, რომელნიც ფიქრობენ, რომ იტალიის წინადადებების მიუღებლობის შემთხვევაში მოსალოდნელია იტალიამ ანექსია უყოს ფიუმეს. ფიქრობენ რომ სამხრეთ-სლავია მიიღებს იტალიის წინადადებებს.

ჩვენს წითელ ჯარში

ჩვენც ვმუშაობთ.

ა. წ. 23 აგვისტოს ქართულ საავიაციო ესკადრილიის კლუბში გაიმართა საღამო სადაც წარმოდგენილი იყო რუსულათ „მარატი“ და ქართულათ „სოფლად“. წარმოდგენას დაესწრო ყველა ნაწილის შემადგენლობანი, ისე ქართულ ესკადრილიისა. საღამომ საუცხოვოდ ჩაიარა. სცენაზე ღებულობდენ მონაწილეობას განსაკუთრებით წითელ-არმიელები. აღსანიშნავია, რომ ამ ხანში, რაც გამოწვეულნი არიან წ. არმიელები მათ ბეჯითად და ენერგიულად ჩაებენ კულტურულ განმანათლებელ მუშაობაში.

ყველა დიდათ მონდომებულად მუშაობენ, რათა გააძლიერონ საკლუბო, საპოლიტ-განმანათლებლო მაცადინობა. სწორედ ასეთ მუყაითობას უნდა მიეწეროს ნაყოფიერი შედეგები კულტ-განმანათლებელ საქმეში. წარმოდგენები სისტემატიურად იმართება, ინსცენიროვკები ადგილობრივათ იწერება, თუ კი საჭიროებას მოითხოვს, კედლის გაზეთი თავისი შინაარსით მეტად კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველებზე.

— ასეთია ჩვენი კლუბის მუშაობის შინაარსი კარგი ამხანაგების შემწეობით. ჩვენ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ რომ „ჩვენ ვმუშაობთ“.

ზ. წყნორელი

გამოცდები კარგად ჩატარდა.

ა. წ. 24 აგვისტოს საავიაციო ესკადრონის გუნდში მოხდა წით.-არმ. პოლიტ გამოცდა. გამოცდას დაესწრენ აღნიშნულ ნაწილის სამხ-კომი, უფროსი და პოლიტ-განყოფილების წარმომადგენელი ამხ. ნადირაძე.

გამოცხადების დაწყებამდის წით. არმიელები ერთგვარ შიშს გრძნობდენ, ეგონათ თუ რაღაც ძნელი საქმის შესრულება ევალებათ მათ, მაგრამ დაიწყო თუ არა გამოცდები, ყველანი სიხარულით და აღფრთოვანებით შეეგებენ გამოცდას. გამოცდამ მეტად კარგი შედეგები მოგვცა. წითელ-არმიელებს მეტად კარგად შეეთვისებიათ მასწავლებლების გადაცემა. კომისიაც კმაყოფილი დარჩა წითელ-არმიელების ცოდნით.

გამოცდის შედეგი ასეთია: 55 პროც. აღმოჩნდა კარგად მოზადებული, 35 პროც. საკმაო და 15 კი სუსტი.

აქედან სჩანს თუ რა გაკეთებულა ჩვენს ნაწილში ოთხი თვის განმავლობაში. წითელ-არმიელების განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის სამკომს, პოლიტ ხელს და უფროსს, ამისათვის ისინი მადლობის ღირსნი არიან ჩვენი ნაწილის წითელ-არმიელებისაგან.

სამტრედიელი.

სამხედრო საქმე

მოულოდნელ თავდასხმის შესრულება.

თავდასხმას აწარმოებენ წინასწარ დანიშნულ საათს და ისე, რომ არავითარი ხმაურობა, ვაშას ძახილი და სროლა არ ასტეხონ. წითელ-არმიელებს უნდა შეაგნებიონ, რომ თავდასხმის დროს მისი საბრძოლო იარაღი ხიშტია და იქამდისინ, სანამ ისინი სოფელში არ შეცვივდებიან მტერს სროლაზედ პასუხი არ უნდა გასცენ.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მტკიცე დისციპლინის მაგარი ჯარიც კი, ღამით თავდასხმისას, მოწინააღმდეგესთან პირველ შეხლაში, განიცდის ხოლმე შეკრთომას, განსაკუთრებით თუ ამავე დროს სროლის ქვეშ მოხვდა. ამ მცირეოდენ შეკრთომის შემდეგ მოსდევს ყოყმანი და თითქმის უკან დაბრუნების სურვილი, რომელიც გადაეცემა უკან მომავალ ნაწილებს, თუ ეს უკანასკნელი მოწინავე ნაწილებს უშუალოდ მისდევს.

ამ ყოყმანის და შეჩერების დროს წითელ-არმიელების უწესრიგო სროლის ატეხა მოსალოდნელია, რაც სრულიად უვნებელი იქნება მტრისათვის, რომელიც ამით შეიტყობს მასზედ განზრახულ თავდასხმას და ამავე დროს ეს საკუთარ ბრძანების გადაცემას ხელს შეუშლის. ამის გამო წითელ-არმიელებს უნდა ჩააგონონ, რომ ამგვარ მოქმედებით მარცხი მოსალოდნელია, რომ გამარჯვების მოპოვება მხოლოდ წინსვლით შეიძლება და რომ ღამით შეტაკებაში ჩვეულებრივად ჯარი ნაკლებად ზიანდება. მარცხის შემთხვევისათვის დაინიშნება საკრებულო პუნქტი. ამ პუნქტად ჩვეულებრივად უკანასკნელ ღამის გათევების ალაგს ამოირჩევენ ხოლმე. თუ საკმაოთ ძლიერი ძალები ჰყავთ, მაშინ დახევის დასახულ გზაზედ სტოვებენ მაშველს, რომელსაც ტყვეებს უგზავნიან ხოლმე, მრავალ შემთხვევაში საჭირო იქნება შეკრების პირობითი ნიშნის დანიშვნა. თავდასხმისათვის, ჩვეულებრივად, ადგილობრივ მცხოვრებთა ჩვენებით გაიცემა ხოლმე განკარგულება—დაინიშნება განსაკუთრებული სპანი, რომელნიც მოხსნიან რა მოწინააღმდეგის გარეგან ყარაულებს, შემდეგში უნდა შიგნითა ყარაულები დაიპყრონ, უფროსთა შედგენილება დაატყვევონ, მებუკეთ განგაშის ნიშნის მიცემას ხელი შეუშალონ და არ მისცენ შეძლება ცხენოსან ჯარს ცხენები შეკაზმონ და არტილერიას ზარბაზნები შეაბან. მოწინააღმდეგე თავდასხმისაგან განიცდის დიდ შთაბეჭდილებას, რითაც უნდა ისარგებლონ და ყველა იარაღის ტარების უნარის მქონეთ დააყრევიონ იარაღი, რადგან თავდამსხმელს არ ექნება შეძლება ჩაებას ქუჩის ხანგძლივ ბრძოლაში. თუ მთელი გარნიზონი ათევებს გამაგრებულ შენობაში,—მისი ალყის შემორტყმა იმ შემთხვევაში იქნება მიზანშეწონილი, თუ ცეცხლის წაკიდებით შესაძლო იქნება მისი დამორჩილება—მზის ამოსვლამდე, ან იმ დრომდე—სანამ გარნიზონს ჯარი მიეშველება. ქვის შენობას ცეცხლი ძნელად ეკიდება, რის გამო მის გარშემო ხის შენობებს წაუკიდებენ ცეცხლს. მცხოვრებლები რასაკვირველია, ცეცხლის წაკიდებას კარგის თვალით არ შეხედავენ, თავის მხრივ ისინი ზომებს მიიღებენ, რომ მას ხელი შეუშალონ, განსაკუთრებით, თუ თავდამსხმელნი მათი თანამემამულენი არ არიან.

თუ თავდასხმა გამარჯვებით დასრულდა და მიზანს მიაღწიეს, უნდა ისევე სწრაფად გაშორდენ იმ ალაგს და, უმეტეს შემთხვევაში, თავდაპირველად ისეთ მიმართულებით უნდა წავიდენ საითკენაც არ ჰსურთ, რითაც შეცდომაში შეიყვანენ მტერს.

გ. ბ.

ახალი ამბები

ახალი პიესა.

ს. ერთაწმინდელმა სთარგმნა პიესა „ერთიანი ფრონტი“—დღევანდელ გერმანიის ცხოვრებიდან, სადაც აწერილია ბრძოლა კომუნისტებისა სოციალ-გამყიდველების წინააღმდეგ.

მოსკოვის ქართულ დრამატიულ სტუდიაში.

27 აგვისტოს ხელოვანთა სასახლეში მოხდა მოსკოვის ქართულ დრამატიულ სტუდიაში მისაღებ ახალგაზრდობის წინასწარი გამოცდები, მათ შორის კონკურსზე დაშვებულია 9 კაცი.

ქართული სტენოგრაფია.

სტენოგრაფიის პროფესორმა ქივოტოვსკიმ შეადგინა ქართული სტენოგრაფია, რომელიც შედგენილია უკანასკნელ დამთავრებულ კონსტრუქციით ადვილად შესათვისებებელი ნიშნებით.

სავეტერინარო დარგში მომუშავეთა ყრილობა.

საქართველოს რესპუბლიკის სავეტერინარო დარგში მომუშავეთა ყრილობა დანიშნულია 23 სექტემბერს ტფილისში,

ავტომობილის მსხვერპლი.

ვერის დაღმართზე შოფერის დაუდევრობით ავტომობილმა გადაუარა 9 წლის ქურთის ქალს, რომელსაც დაუზიანა ფეხი.

გლეხების გაძარცვა.

სოღანლუღის გზის მიმართულებით მიმავალ გლეხებს თავს დაესხენ ბოროტგანზრახველები და წაართვეს ფულად 161 მილიონი მან. და ნივთები. ბოროტმოქმედები მილიციამ შეიპყრო.

თავის ჩამოხრჩობა.

მე-13 სამილიციო უბანში მოქ. ბალა ხანუმ კიზიმ ბაწრით ჩამოიხრჩო თავი. მიზეზი გამოურკვეველია.

პედაგოგიური ჟურნალი.

ქუთაისის მაზრის სახალხო განათლების განყოფილებამ გამოსცა პედაგოგიური ჟურნალი „განათლების მოამბე“.

ლენინის სახელობის ბაღი.

ქ. აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა მიიღო ლენინის ბაღის გალავანის ესკიზი, რომელიც წარადგინა ინჟინერ მუხარინსკიმ.

ბინებში ჩასახლების სავალდებულო დადგენილება.

ქ. აღმასკომმა დაამტკიცა ბინებში ჩასახლების შესახებ სავალდებულო დადგენილების პროექტი, რომელიც გამოიცემა ცალკე წიგნად.

კრება.

დღეს 29 აგვისტოს საღ. 5 საათზე ბეჭდვითი საქმის მომუშავეთა ბიუროს ბინაზე შესდგება საერთო კრება ბეჭდვითი საქმის მომუშავეთა კავშირების წარმომადგენლებისა.

ქართული დივიზ. პარტკომისიაში.

ქართულ დივიზიის პარტკომისიის მდივანი ამხ. ს. ლომიძე საქ. კომპარტიის ცეკას დადგენილებით გადაყვანილ იქნა ლეჩხუმის პარტკომის მდივნად.

მისალმების დეპეშა.

კავკასიის ცალკე წითელ დროშოვან არმიის პოლიტსამმართველოს უფროსმა პირველ ქართულ ლეგიონის უფროსს ლეგიონის ორი წლის თავის გამო შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „ღრმად ვწუხვარ რომ არ მაქვს საშვალება დავესწრო ლეგიონის დღესასწაულს. გილოცავთ წითელ მოლაშქრეებს, უფროსებს და პოლიტ მომუშავეებს და გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას.

შრომის სასამართლოში.

შრომის სასამართლომ გაარჩია საბჭოთა საკერვალოს 1 ფაბრიკის ადმინისტრაციასა და მუშა-მოსამსახურეთა შორის კონფლიქტის საქმე და დაადგინა: ხსენებულ ფაბრიკის მომუშავეებს, რომლებმაც ადმინისტრაცია ექვსი თვის განმავლობაში ნორმაზე ნაკლებს ჯამაგირებს აძლევდა, მიეცეთ დანარჩენი ხვედრი ფულიც.

მუშებს იცავდა მკერავთა კავშირის თავმჯდომარე გრანიკი.

ბიბლიოთეკა სამკითხველოები ჯარში და მათი მნიშვნელობა.

(გაგრძელება)

წინა წერილში ჩვენ შევეხეთ წითელ არმიელთა ბიბლიოთეკის გამგის მოვალეობას, შევეხეთ აგრეთვე იმ საკითხებს, რომლებიც ბიბლიოთეკის გარშემო არსებობენ, ახლა კი იძულებული ვიქნებით კვლავ შევეხოთ გამგის მოვალეობის საკითხებს.

1) გამგე უნდა ხელმძღვანელობდეს წიგნთა კითხვის საქმეს, ამისათვის კი სასურველია შემოღებულ იქნას ჯგუფობრივი კითხვა წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთებისა.

ჯგუფობრივ კითხვას, იმიტომ აქვს დიდი მნიშვნელობა, რომ ყველა წითელ არმიელებმა არ იცის კარგად წიგნის კითხვა, მაგრამ წიგნის შინაარსი კი მას ძალზე აინტერესებს და, რასაკვირველია, ასეთ საშუალებას შეუძლია დიდი სამსახურის გაწევა წითელ არმიელთათვის.

2) გამგე უნდა უწევდეს ხელმძღვანელობას აგრეთვე, იმ წითელ არმიელებს, რომელთაც შინ მიაქვთ წიგნები წასაკითხავად, ამისათვის კი საჭიროა გამგემ მიმართოს გამოკითხვის საშუალებას, რომ საბოლოოდ დარწმუნდეს წითელ არმიელმა შეითვისა თუ არა წიგნის შინაარსი.

ყველა ზემოთქმულიდან ჩვენ შეგვიძლია მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ წითელ არმიელთა ბიბლიოთეკის გამგეს შემდეგის ასრულება ევალება.

1) მკითხველების შესწავლა.

2) დეტალური შესწავლა და ცოდნა გაცემული წიგნებისა

3) ხელმძღვანელობა წასაკითხავად გაცემულ წიგნებისა.

ვინაიდგან ჩვენ წითელ არმიელთა ბიბლიოთეკის გამგის საკითხებს საკმაოდ შევეხეთ, ახლა, რასაკვირველია, იძულებული ვიქნებით შევეხოთ თვით მკითხველთა ორგანიზაციულ საკითხებს, ურომლისოდაც ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლებლად მიმაჩნია.

ეს საკითხები გახლავთ შემდეგი:

1) მკითხველების მუშაობა ბიბლიოთეკა სამკითხველოში

2) მკითხველების თვითმართებლობა

3) პოლიტ-განმანათლებელი მუშაობა.

ჩვენ თუ პირველ საკითხს შევეხებით, უნდა ავღნიშნოთ, რომ ბიბლიოთეკა დანიშნულია მკითხველებისათვის (წითელ არმიელებისათვის) და, რასაკვირველია, იმით სარგებლობას ფართო ხასიათი უნდა ჰქონდეს.

ხოლო რაც შეეხება მკითხველების თვითმართებლობის საკითხებს, აქ უნდა ავღნიშნოთ, რომ ბიბლიოთეკაში აქტიურ მონაწილეობას უნდა ღებულობდენ თვით მკითხველი წითელ არმიელები, რომელთაგანაც ერთი უნდა იყოს ხელმძღვანელი წითელ არმიელი, რომელიც გაუწევდა ხელმძღვანელობას ჯგუფობრივ კითხვას, როგორც წიგნებისას, ისე ჟურნალ-გაზეთებისას.

წითელ არმიელთა ბიბლიოთეკას დიდი დახმარება შეუძლია გაუწიოს კლუბების წრეების მუშაობას, კლუ-

ბების წრეების პარალელად შეიძლება დაარსებულ იქნეს წრეები ბიბლიოთეკა სამკითხველოშიც, სადაც, რასაკვირველია, მონაწილეობას მიიღებს ბიბლიოთეკის მკითხველი წითელ არმიელები.

ასეთი წრეები შეიძლება იყოს:

1) პოლიტიკური, 2) ისტორიულ გეოგრაფიული, 3) ლიტერატურული, 4) ბუნების მეტყველების და სხვა.

წრეების მუშაობა უნდა გამოიხატებოდეს იმაში, რომ გაეცნონ და შეისწავლონ სპეციალური ლიტერატურა, რომელიც ბიბლიოთეკაში მოიპოვება.

მთავარი როლი, რომელიც აქვს დაკისრებული ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გახლავთ პოლიტიკურ-განმანათლებელი მუშაობის წარმოება, ამ მუშაობისათვის კი, საჭიროა შესაფერისი ლიტერატურის გაცნობა მკითხველების მიერ. ბოლოს არ შეიძლება არ აღვნიშნოთ თვით ბიბლიოთეკა სამკითხველოს შენობის მორთულობა. წითელ-არმიელთა ბიბლიოთეკას უნდა ჰქონდეს აუცილებლად შესაფერისი მყუდრო ოთახი. სადაც შესაძლებელი იქნებოდა ჟურნალ გაზეთების წაკითხვა ისე, რომ ხელი არავის შეეშალა. ბიბლიოთეკის გარეგნულ მორთულობასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, ბიბლიოთეკის კედლებს უნდა ამშვენებდეს პოლიტიკურ მოღვაწეთა და მწერალთა სურათები. ამ მხრივ ჩვენს ჯარში საუცხოვოთ არის დაყენებული საქმე, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსია პოლიტ-განყოფილების ბიბლიოთეკის სექციის გამგეობა.

ალ. გორ—ძე.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ

ᲛᲐᲠᲘᲚᲘ.

ამ წერილში ჩვენ გვექნება საუბარი მარილზე, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ცხოვრებაში.

ის მარილი, რომელიც საჭმელში იხმარება, თუმცა ეს ჩვენ პირველ შეხედვით გვეუცხოვება, შესდგება მეტალის, ნატრის და გაზისებურ ნივთების—ქლორისაგან, რისთვისაც ქიმიაში მას უწოდებენ ქლორიულ ნატრის. გარდა ჩვეულებრივი, სამზარეულო მარილისა ბუნებაში გვხდება მრავალი სხვა მარილები.

ქვა-მარილი გვხდება მაგარი სახით დანალექ ჯიშებში.

ჩვეულებრივად ქვა-მარილი შეიცავს მრავალგვარ ნარევს, თიხას, გიპსს და სხვას. ამას გარდა ის იღებს ერთგვარ ფერს რკინეულის შერევის გამო, იწვახე ან ლურჯ ფერს სპილენძის შერევით და ნაცრის ფერს ორგანიულ ნაშთებისაგან. მაგრამ გვხვდება მარილი სრულიად სუფთა და გამჭვირვალე, როგორც ყინული.

ქვა-მარილი ილექება მიწაში ფენად, რომელიც აღწევს რამოდენიმე ათეულ საჟენს სისქით და უჭირავს დიდი სივრცეები.

უმდიდრესი ასეთი ფენები მარილის იმყოფება პოლონეთში, ქალაქ კრაკოვის ახლოს (ძველი დედა ქალაქია პოლონეთის) სოფელ ველიჩკას ქვეშ, რომელიც ასეთსავე სახელს ატარებს.

ამ მაღნის სიმდიდრე მეტად დიდია, მარილის თხრა აქ რამოდენიმე ასეული წლებია რაც სწარმოებს.

საერთო მანძილი მთელ მიწის ქვეშა გზებისა აღწევს 200-დე ვერსს. რუსეთში ქვამარილის მდიდარი ფენები იმყოფება ქალაქ ბახმუტის ახლოს 12 ვერსზე.

ბახმუტის მაღნებმა 1895 წ. მოგვცა 16 მილიონი ფუთი მარილი რაიც შეადგენს 80 პროცენტს მთელ რუსეთში ამოთხრილ ქვა-მარილისას.

მეტად მდიდარია აგრეთვე ილეცკის მაღნები.

აქ მარილის ფენა აღწევს სივრცით სამ ვერსს, სისქით 65 საჟენს.

ეს მარილი განსხვავდება თავისი საუკეთესო ხარისხით.

ქვა-მარილი გვხდება არა მარტო მიწაში, არამედ ხშირად ამოჭრილია გორაკებად რამოდენიმე ფუტის სიმაღლეზე; ასეთი გორაკებია მაგალითად: რუსეთში, ესპანიაში და ინდოეთში.

როგორც ვიცით, გარდა ქვა-მარილისა არის კიდევ ზღვის მარილი.

ზღვის წყალი შეიცავს მარილს 3 ნახევარ პროცენტამდე და იმისათვის, რომ აქედან შეძენილ იქნას სამზარეულო მარილი, წყალს თანდათან ატარებენ მთელ რიგ (6—7) ბრტყელ აუზებში, აქ წყალი თანდა-თან თავისუფლდება ტუტისაგან, მწარე მარილისაგან, რომლებიც მუდამ მოიპოვებიან ზღვის წყალში, და თან და თან, აორთქლების საშვალებით მატულობს ხსნილის სიმაგრე.

ბოლოს, როცა მიიღება მარილის ბროლი, ხსნილს ჩაუშვებენ უკანასკნელ აუზში, მარილი დაილექება ძირზე, საიდანაც შემდეგ ამოაქვთ ნამდვილი სამზარეულო მარილი. ასე პოულობენ და ამზადებენ მარილს სამხრეთ საფრანგეთში, ესპანიაში, იტალიაში და რუსეთში—ყირიმში.

მაგრამ ამ გზით ზღვის წყლისაგან მარილს პოულობენ და ამუშავებენ იმ ქვეყნებში, სადაც არის თბილი ჰავა, რომელიც ხელს უწყობს წყლის აორთქლებას და მარილის ამ რიგად დალექვას. ჩრდილო სანაპიროზე ევროპის, რუსეთის და აზიის მარილს პოულობენ ყინულის საშუალებით შემდეგ ნაირად: საქმე იმაშია რომ ყინული სრულიად თავისუფალია მარილისაგან, და ამიტომ თუ ზღვაზე მოწყვეტილ აუზს ავაცლით ყინულს, იმ შემთხვევაში მივიღებთ მარილის მაგარ ხსნილს; ამ ხსნილისაგან მარილს გამოყოფენ გამოხარშვით, დუღილით. ეხლა ჩვენ გვრჩება გავეცნოთ მარილის შეძენას მარილიან წყაროებისა და ტბებისაგან, და აგრეთვე სწავლულთა აზრს ქვამარილის და მლაშე ტბების წარმოშობის შესახებ, რაზედაც შემდეგში გვექნება საუბარი.

(დასასრული იქნება)

„რაბ. პრ“.

ᲡᲐᲬᲔᲠ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲓᲐᲜ.

ის გამოიგონა 1867 წელში ქრისტეფორ ხოლმსმა (ინგლისელი). საწერი მანქანის გამომგონმა რამდენჯერმე გამოიცვალა თავისი წოდება, იყო ასოთ ამწყობად, პარლამენტის წევრად, და, ბოლოს, გახდა ერთი პატარა გაზეთის რედაქტორი, რომლის ბინაც იმყოფებოდა ტელეგრაფის სადგურის ზემოდ. აქ მას საშვალება ჰქონდა თვალყური ედევნებია თუ როგორ მუშაობდა მორზეს აპარატი, და ამ აპარატის მსგავსად ხოლმსმა გააკეთა პირველი საწერი მანქანა, რომელიც შესდგებოდა ძველი ტელეგრაფის აპარატისაგან, შუშის ფიცრის და რამოდენიმე უხეშად ანაგებს ხის ნაწილებისაგან.

ამ პირველ საწერ მანქანას არ ქონია ზონარი და ასოები გამოჰყავდა ლურჯი, გადასაღები ქაღალდის საშუალებით. რამოდენიმე ხნის შემდეგ ხოლმსმა გააკეთა ახალი მოდელი, მსგავსად როიალის კლავიატურისა, რომელიც თავის აღნაგობით უახლოვდება დღევანდელ საწერ მანქანებს.

ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ

ᲓᲐᲛᲬᲕᲐᲠᲘᲡ ᲬᲐᲛᲚᲝᲑᲐ.

დამწვარი ადგილი ადამიანს ან ცხოველს ეწვის, სტკივა, უხურს.

დაწვა შეიძლება იყოს: მსუბუქი და მძიმე.

ამის მიხედვით წამლობაც შესაფერისი უნდა.

ცეცხლის ალის ჩაქრობა ხალიჩის, ფარდაგის, საბნის ან დიდი პალტოს წაფარებით უნდა.

წყლის დასხმა ალს აძლიერებს. ამიტომ ეს დაუშვებელია.

მხოლოდ ალის ჩაქრობის შემდეგ შეიძლება დამწვარ ალზე წყლის დასხმა.

დამწვარი ადამიანი უნდა შეიყვანოთ ოთახში და დააწვინოთ ოთახის შუა ალაგას. რომ ყველა მხრიდან მიდგომა შეიძლებოდეს.

ტანთსაცმელის გახდის დროს მეტი სიფრთხილეა საჭირო, რომ მასთან ერთად დამწვარი კანიც არ ააძროთ.

უკეთესია ტანისამოსის შეჭრა მაკრატლით.

თუ ზოგიერთ ალაგას ტანისამოსი მიკრული აქვს კანს, არ უნდა ააძროთ ტანთსაცმელი.

პირველ დახმარების აღმოჩენის შემდეგ, ექიმმა უნდა უპატრონოს.

თუ ექიმი არ არის, უნდა მოიქცეთ ასე:

ცივი წყლის დასხმის შემდეგ, აიღეთ სახამებელი და მოაფრქვიეთ დაწითლებულ დამწვარ ადგილზე ან თუ სახამებელი არა გაქვთ, ადეთ ხშირად ცივ წყალში ამოვლებული ტილო. წვა გაუვლის და 3—4 დღის შემდეგ სიწითლეც გაივლის.

შედარებით ძნელია აქიმობა მაგრათ დამწვრისა.

აბურცებული კანი არ გაუჭრათ როგორც ზოგიერთებს აქვთ ჩვეულებათ, პირიქით კანი უნდა მთელი იყოს, რომ დაიფაროს დაზიანებული ადგილები ჰაერის მავნე მოქმედებისაგან.

იმ შემთხვევაში, თუ აბურცული კანი ძალიან გაივსო წყალმანკით და გაიჭიმა, უნდა ნემსით გამოიწუროს, მხოლოდ ნემსი წინასწარ უნდა ჩადოთ ათი წუთით ბორის სიმჟავის ან კარბოლის ხსნილში, გასაუვნებლად.

ამის შემდეგ დაადებთ მალამოს, ზეითუნის ზეთი და კირიანი წყალი თანატოლად ერთმანეთში შერეული ბორის სიმჟავის მალამო ან სალიცილის სიმჟავისა.

ერთ-ერთი ამათგანი უნდა წაეცხოს დოლბანდს (მარლა) და დაედევას დამწვარ ალაგს.

თუ ეს მალამოები ვერ იშოვეთ, მაშინ შეიძლება მოაყაროთ ფხვნილი: ბორის სიმჟავის, სალიცილის სიმჟავის ან იოდოფორმი.

თუ ფხვნილებიც ვერ იშოვეთ, მოუსვით ფრთით მარტო ზეითუნის ზეთი ან სხვა, რომელიმე მცენარეულის ზეთი, მაგალითად შირბახტისა, სელისა, ძროხის ერბო.

შეიძლება აგრეთვე შემდეგი ფხვნილები:

სოდა, დანაყული ნახშირი, ფქვილი.

ყველაზე უკეთესი-კი იოდოფორმის დოლბანდია, რომელიც აფთიაქში იყიდება.

ეს უნდა მოიკეცოს 8-10 კეცად და მარილწყალში დასველებულ ბამბის გორგლებით მოსუფთავებულ ადგილებზე დაედოს; შემდეგ შეუხვევთ შესახვევით.

დოლბანდი ედება ორ კვირას გამოუცვლელად, ხოლო შესახვევი უნდა ყოველ დღეს ეცვალოს.

დამწვარი მთელდება 4—6 კვირ განმავლობაში და უმეტეს ნაწილა დაუჩირქებლივ.

მძიმე დაწვა ძნელი მოსარჩენი, რადგან დამწვარი ადგილები ჩირქდება. უექიმოდ ამის მორჩენა საე ვოა.

როცა ვისმეს კირიანი წყალისაგან დაეწვება კანი, ის უნდა ცივ წყალით ბანოთ.

შემდეგ ძმარ-წყალი მოუსვათ ბამ ბით დამწვარ ადგილზე. ამის შემდ უაქიმებთ ჩვეულებრივად.

თუ დაეწვა ვისმეს კანი აზოტის, გოგირდის და მარილის სიმჟავით, ამ შემთხვევაში ჭარბათ დაასხით ცივი წყალი და შემდეგ მოაყარეთ სოდა ან მოასხით კირიანი წყალი.

მ—ლი.

ᲭᲘᲜᲭᲐᲠᲐ

ᲪᲝᲛᲘ ᲞᲣᲠᲘ

(„მიცოცავის“ ხმაზე)

> „დაუდევრობა თუ ბოროტმოქმედება? დივჰოსპიტალში 15 დღეა პური მოგვდის ცომი და უვარგისი—მოგვაქციეთ ყურადღება“.
>
> „წ. არ.“ № 351

ყურადღებას არვინ გვაქცევს—
მოგვდის უვარგისი პური!
ცომი! ცომი! ცომი! ცომი!
მოგვაპყარით ყური, ყური!
ცომი პური მიცოცავს
მიცოცავს...
მუცლის ტკივილი გვხოცავს,
გვხოცავს...
მეთვალყურე არვინ არის?—
თორემ მოგვეშალა კუჭი!
მოგვხედეთ, ო, გიხმობთ ყველას—
არ გეგონოთ თხოვნა ფუჭი!..
ცომი პური კვლავ მოცოცავს,
კუჭი გვეშლება და გვხოცავს...
რედაქტორო, ჩვენი თხოვნა—
თქვენსკენ იმედით მოცოცავს;
იქნებ „წითელ-არმიელი“
(შარავანდედი რომ მოსავს!..)
ყუმბარებს იქ მიაწოდებს
ვინც თეთრ ფქვილებს მიაცოცებს!..
არ ვიცით სად მიცოცავს,
მიცოცავს. .
ყველა წითელ ლაშქრელი
გამარჯვებას გილოცავს...
გილოცავს...

დ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ

მესამე ლეგ. თავს ლალიძეს თქვენი წერილი არტილერიის შესახებ არ დაიბეჭდება. ამის შესახებ საკმაოდ დაიწერა.

ამხ. გ. მ—ლის. ლექსი ორი წლის თავზე არ დაიბეჭდება.

წ. არ. კოპალეიშვილს. ლექსი არ დაიბეჭდება.

სამხკორ ჩხიკვიშვილს. 1-ლ ლეგიონში არ გავა. ამის შესახებ უკვე იყო კორესპოდენცია.

ამხ. კომუნისტს. წერილი „ქაღალდები ტივით მოდის“ გაზეთში არ დაიბეჭდება. ის გადავგზავნეთ დივიზიის პარტ კომისსიაში.

ᲡᲐᲚᲐᲛᲘ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲐᲯᲡ—ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲬᲘᲗᲔᲚ-ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲡ“

ამხანაგო რედაქტორო!

ქართულ შეერთებულ სამხედრო სკოლის კურსანტები და მეჯაურები გიგზავნით ჩვენი გაზეთის ფონდის გასაძლიერებლად პაწია წვლილს—57,500,000 მანეთს. გისურვებთ კვლავ ენერგიულ მუშაობას ჩვენი წითელი ჯარის საკეთილდღეოდ. ჩვენს საყვარელ გაზეთს შემდეგშიაც არ მოვაკლებთ დახმარებას.

ქარ. შეერ. სამხ. სკოლის კურსანტი ა. ჭკადუა.

ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘ“-Ს ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ

ამით აცხადებს სამხედრო ნაწილების საყურადღებოდ, რომ ყოველ გვარი შემოწირულება, პროცენტული გადარიცხვა, საშეფო თუ სხვა ფული „წითელი არმიელი“-ს სასარგებლოდ

ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲓᲘᲝᲓᲔᲡ ᲞᲝᲚᲘᲢ-ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲚᲐᲠᲝᲨᲘ,

საიდანაც სათანადო საანგარიშო წესების დაცვით გადაეცემა რედაქციას,

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1200. სამხედრო სტამბა პასუხის-მგებელი რედაქტორი—ლ. ჩანტლაძე.